# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 268

ხელშეკრულების დადების საფუძველია საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-$10^{1}$ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2014 წლის "24" "03" ქ. თბილისში

დამკვეთი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის დირექტორის ვლადიმერ ხატიაშვილის სახით.

მისამართი: ქ. თბილისი, გ. გულუას ქუჩა №10

საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა. საიდენტიფიკაციო კოდი 204383176

- შემსრულებელი: არასამეწარმეო მედია კავშირი „ობიექტივი" საიდენტიფიკაციო კოდი: 404 385 465
- მისამართი, ტელეფონი: ქ. თბილისი, ძმები კაკაბაძეების ქუჩა №2
- გამგეობის თავჯდომარე: ირაკლი ცილიკიშვილი
- საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „თიბისი ბანკი" ბ/კ: TBCBGE22 ა/ა: GE57 TB72 6073 6080 1000 01

ერთი მხრივ, დამკვეთი და მეორე მხრივ, შემსრულებელი ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შემსრულებელი იღებს ვალდებულებას ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი №1-ის შესაბამისად უზრუნველყოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიწოდებული სოციალური ვიდეორგოლის ტელეკომპანია "ობიექტივი"-ს ეთერში განთავსება.

## 2. ხელშეკრულების ფასი

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს:

9,178.04 (ცხრა ათას ას სამოცდათვრამეტი ლარი და 4 თეთრი) ლარს.

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

2.2. ხელშეკრულების ფასი შეიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს მომსახურებასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

2.3. ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

## 3. მომსახურების გაწევის წესი

3.1. დამკვეთი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის დროს ჩაატაროს შემოწმება/ტექნიკური კონტროლი, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს შსს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსს ნინო გიორგობიანს, რომელიც აგრეთვე უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირება და უზრუნველყოს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარება, ხოლო შემსრულებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას ინსპექტირების ჩატარების დროს.

3.2 ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით შემსრულებელი იღებს ვალდებულებას განახორციელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება 2014 წლის 24 მარტიდან 2014 წლის 6 აპრილის ჩათვლით.

3.2. მომსახურების გაწევა დასტურდება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

4. ანგარიშსწორების წესი

4.1. დამკვეთი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს შემსრულებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ანაზღაურება, მომსახურების გაწევის შემდეგ 20 კალენდარული დღის განმავლობაში კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.

4.2. ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

4.3. გადახდის ფორმა: უნაღდო

5. მხარეთა ურთიერთვალდებულებები და პასუხისმგებლობა

5.1 დამკვეთი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს შემსრულებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

5.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.3 დამკვეთს მოთხოვნის შემცირების ან შეცვლის შემთხვევაში არ ეკისრება არანაირი ფინანსური ვალდებულება.

5.4 დამკვეთი უფლებამოსილია მომსახურების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს შემსრულებელს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად შეუსრულებელი მომსახურეობის ღირებულების 0,2 %-ის ოდენობით.

5.5 დამკვეთი უფლებამოსილია, შემსრულებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულლებლობის შემთხვევაში, შემსრულებელს დააკისროს ჯარიმა ხელშეკრულების ღირებულების 3% -ის ოდენობით და შეწყვიტოს ხელშეკრულება.

6. ფორს-მაჟორი

6.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

6.2. ამ მუხლის ფარგლებში "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული მიმწოდებლის შეცდომებსა და/ან დაუდევრობასთან და რომელთა გათვალისწინებაც შეუძლებელი იქნებოდა წინასწარ. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებათა მკვეთრი შემცირებით და სხვა.

6.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში იმ მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების დადგომის და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით

აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 7. სხვა პირობები

7.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 20 მაისის ჩათვლით და/ან მხარეთა მიერ თავის მოვალეობების სრულ შესრულებამდე.

7.2. მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სასამართლო.

7.3. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7.4. დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან დამკვეთის პირობების გაუარესება გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7.5. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

| დამკვეთის მხრიდან: | შემსრულებლის მხრიდან: |
| --- | --- |
| შსს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის დირექტორი | არასამეწარმეო მედია კავშირი „ობიექტივი"-ის გამგეობის თავმჯდომარე |
| ვლადიმერ ხატიაშვილი | ირაკლი ცილიკიშვილი |

დანართი №1 2014 წლის "24" "03" "№ 268" ხელშეკრულებასთან

„შსს"-ს სარეკლამო რგოლების განთავსება

არასამეწარმეო მედია-კავშირ „ობიექტივის" პირდაპირ ეთერში

სარეკლამო რგოლები „ობიექტივის" პირდაპირ ეთერში

| „ობიექტივის" საეთერო გადაცემები | ეთერის მსვლე-ლობა | გადაცემის დასაწყისი + დასასრული | სარეკლამო რგოლის გაშვების ინტერვალი | სარეკლამო რგოლის ღირებულება – 1 წუთი, ლარებში (დ.ღ.გ.-ს გარეშე) | მაუწყებლობის გავრცელების საშუალებანი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | თანამგზავრი Astra 1G | ქვეყანაში 60 საკაბელო | FM 105.0 თბილისი | Internet TV |
| „შუადღე ობიექტივში" (ნაწილი I) | Live | 14:30-15:20 | 14:55-15:00 | ~~210~~ | + | + | + | + |
| რეკლამა + ტელეტიხარი | | 15:20-15:30 | 15:20-15:30 | 180 | + | + | + | + |
| „შუადღე ობიექტივში" (ნაწილი II) | Live | 15:30-16:20 | 15:55-16:00 | ~~210~~ | + | + | + | + |
| რეკლამა + ტელეტიხარი | | 16:20-16:30 | 16:20-16:30 | 180 | + | + | + | + |
| „საღამო ობიექტივში" (ნაწილი I) | Live | 18:30-19:20 | 18:55-19:00 | ~~180~~ | + | + | + | + |
| რეკლამა + ტელეტიხარი | | 19:20-19:30 | 19:20-19:30 | 150 | + | + | + | + |
| „საღამო ობიექტივში" (ნაწილი II) | Live | 19:30-20:20 | 19:55-20:00 | ~~180~~ | + | + | + | + |
| ტელეტიხარი | | 20:20-20:30 | 20:20-20:30 | ~~150~~ | + | + | + | + |
| „ობიექტივის ღამის სტუდია" (ნაწილი I) | Live | 22:30-23:20 | 22:55-23:00 | ~~240~~ | + | + | + | + |
| რეკლამა + ტელეტიხარი | | 23:20-23:30 | 23:20-23:30 | 210 | + | + | + | + |
| „ობიექტივის ღამის სტუდია" (ნაწილი II) | Live | 23:30-00:20 | 23:55-24:00 | ~~240~~ | + | + | + | + |
| რეკლამა + ტელეტიხარი | | 00:20-00:30 | 00:20-00:30 | 180 | + | + | + | + |

## სარეკლამო რგოლების ხანგრძლივობა:

| რგოლის ID | ფაილის სახელწოდება | რგოლის ხანგრძლივობა (წმ.) | რგოლის ID | ფაილის სახელწოდება | რგოლის ხანგრძლივობა (წმ.) |
|---|---|---|---|---|---|
| R1 | 1. shinagan saqmeta saministro reklama onkologi.wmv | 34 | R4 | 4. shinagan saqmeta saministro reklama seqsologi.wmv | 47 |
| R2 | 2. shinagan saqmeta saministro reklama fsiqologi.wmv | 36 | R5 | 5. shinagan saqmeta saministro reklama reproduqtologi.wmv | 31 |
| R3 | 3. shinagan saqmeta saministro reklama narkologi.wmv | 37 | | | |

## სარეკლამო რგოლების გაშვების გრაფიკი 2014 წლის 24 მარტიდან 6 (ჩათვლით).

| ფასები ლარში (დ.ღ.გ.-ს გარეშე) რგოლის გაშვების ინტერვალში | | სარეკლამო რგოლის გაშვების დრო | 24.03 ორშ. | 25.03 სამშ. | 26.03 ოთხშ. | 27.03 ხუთ. | 28.03 პარ. | 29.03 შაბ. | 30.03 კვირა | 31.03 ორშ. | 01.04 სამშ. | 02.04 ოთხშ. | 03.04 ხუთ. | 04.04 პარ. | 05.04 შაბ. | [illegible] კვი[illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 წუთის ფასი | 180.00 | 15:20 | R1 | R5 | R4 | R3 | R2 | R1 | R5 | R4 | R3 | R2 | R1 | R5 | R4 | R3 |
| სარეკლამო რგოლის გაშვების ფასი | | | 102.00 | 93.00 | 141.00 | 111.00 | 108.00 | 102.00 | 93.00 | 141.00 | 111.00 | 108.00 | 102.00 | 93.00 | 141.00 | 111.00 |
| 1 წუთის ფასი | 180.00 | 16:20 | R2 | R1 | R5 | R4 | R3 | R2 | R1 | R5 | R4 | R3 | R2 | R1 | R5 | R4 |
| სარეკლამო რგოლის გაშვების ფასი | | | 108.00 | 102.00 | 93.00 | 141.00 | 111.00 | 108.00 | 102.00 | 93.00 | 141.00 | 111.00 | 108.00 | 102.00 | 93.00 | 141.00 |
| 1 წუთის ფასი | 150.00 | 19:20 | R3 | R2 | R1 | R5 | R4 | R3 | R2 | R1 | R5 | R4 | R3 | R2 | R1 | R5 |
| სარეკლამო რგოლის გაშვების ფასი | | | 92.50 | 90.00 | 85.00 | 77.50 | 117.50 | 92.50 | 90.00 | 85.00 | 77.50 | 117.50 | 92.50 | 90.00 | 85.00 | 77.50 |
| 1 წუთის ფასი | 210.00 | 23:20 | R4 | R3 | R2 | R1 | R5 | R4 | R3 | R2 | R1 | R5 | R4 | R3 | R2 | R1 |
| სარეკლამო რგოლის გაშვების ფასი | | | 164.50 | 129.50 | 126.00 | 119.00 | 108.50 | 164.50 | 129.50 | 126.00 | 119.00 | 108.50 | 164.50 | 129.50 | 126.00 | 119.00 |
| 1 წუთის ფასი | 180.00 | 00:20 | R5 | R4 | R3 | R2 | R1 | R5 | R4 | R3 | R2 | R1 | R5 | R4 | R3 | R2 |
| სარეკლამო რგოლის გაშვების ფასი | | | 93.00 | 141.00 | 111.00 | 108.00 | 102.00 | 93.00 | 141.00 | 111.00 | 108.00 | 102.00 | 93.00 | 141.00 | 111.00 | 108.00 |
| რგოლების გაშვების ფასი დღეებში (დ.ღ.გ.-ს გარეშე) | | | 560.00 | 555.50 | 556.00 | 556.50 | 547.00 | 560.00 | 555.50 | 556.00 | 556.50 | 547.00 | 560.00 | 555.50 | 556.00 | 556.50 |

გაშვების პერიოდი: 14 დღის განმავლობაში 2014 წლის 24 მარტიდან 6 აპრილის ჩათვლით.

| განთავსებების რაოდენობა | 14 დღის საეთერო ღირებულება (ლარი, დღგ-ს გარეშე) | გადასახდელი თანხა (ლარი, დღგ-ს ჩათვლით) |
|---|---|---|
| 70 = 5 x 14 | 7778.00 | 9,178 ლარი 4 თეთრი = 7778.00 x 1.18 |

**გადასახდელია ცხრა ათას ას სამოცდათვრამეტი ლარი და ოთხი თეთრი.**

შემსყიდველის მხრიდან:

შსს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის დირექტორი

ვლადიმერ ხატიაშვილი

მიმწოდებლის მხრიდან:

არასამეწარმეო მედია კავშირი „ობიექტივი"
გამგეობის თავმჯდომარე

ირაკლი [illegible]კაშვილი